5484

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
21 აპრილი
1940 წ.
№ 92 (5793)
ფასი 10 კაპ.

რეზოლუცია

თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებისა, რომელიც მიეძღვნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის შედეგებს

მოისმინა და განიხილა რა ამხანაგ გ. ჩარკვიანის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის შედეგებზე, თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება ერთსულოვნად იწონებს საქ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. აქტივი მიესალმება და მხურვალედ იწონებს სტალინურ საგარეო პოლიტიკას, რომლის თანმიმდევრობითი განხორციელების შედეგადაც პარტიამ და მთავრობამ მიაღწიეს უდიდეს წარმატებებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების საქმეში.

გმირმა წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა, გაანადგურეს რა ფინეთის თეთრგვარდიელთა ჯარები, უზრუნველჰყვეს **ლენინის** ქალაქის — ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის აკვნის — უშიშროება, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადჰყვეს წითელი არმიის მრისხანე შეიარაღების მთელი ძალა და მისი უძლეველობა.

საბჭოთა საქართველოს მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია შემდეგშიც ახალი ენერგიით იბრძოლებენ მათ წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრისათვის და მით განამტკიცებენ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვაუნარიანობას, ჩვენი მამაცი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერებას, მთელ თავის მუშაობას გასწევენ მტრის ნაბოლარების ოინებისადმი მაღალი რევოლუციური სიფხიზლის ნიშნით.

აქტივი ერთსულოვნად იწონებს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა და შესყიდვათა პოლიტიკაში ცვლილებების შესახებ, რომელიც საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების შესახებ სტალინური მზრუნველობის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს.

პარტიისა და მთავრობის დადგენილება დამზადებებს საფუძვლად უდებს სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჰექტარობრივი ჩაბარების ახალ პრინციპებს, მიწის იმ რაოდენობისაგან დამოკიდებით, რომელიც კოლმეურნეობათა სარგებლობაში იმყოფება.

კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ჰექტარობრივ სავალდებულო ჩაბარებათა პრინციპი ხელს უწყობს საკოლმეურნეო ინიციატივის გაშლას, განუზომლად ადიდებს თითოეული კოლმეურნის დაინტერესებას საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის ახალი ზრდით, ხელს უწყობს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებას.

„კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ" პარტიისა და მთავრობის დადგენილების (1939 წლის ივლისი) განხორციელების პრაქტიკამ, კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების ახალი წესის შემოღებამ გვიჩვენა ამ ღონისძიებათა ღრმა მიზანშეწონილობა. ამჟამად ეს წესი გავრცელებულია სხვა ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადებებსა და შესყიდვებზე.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სტალინური გადაწყვეტილებანი მიმართულია საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისაკენ, კოლმეურნეობათა სიმდიდრისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის შემდგომი ზრდისაკენ.

ამ გადაწყვეტილებათა ბოლშევიკური რეალიზაცია უდიდეს როლს ითამაშებს პროდუქტთა სიუხვის შექმნის საქმეში საბჭოთა ქვეყნის მშრომელების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ფართო მასების ერთსულოვანი მოწონება გამოიწვიეს. საქართველოს კოლმეურნეები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე დიდი აქტივობით შეუდგნენ პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარებას ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნე მასების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ამ ახალ აღმავლობას, გამოიყენონ ის უდიდესი გამოცდილება, რომელიც პარტორგანიზაციებმა დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფის — ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ხელმძღვანელობით დაიგროვეს.

კონტროლის თავიანთი უფლების სწორად გამოყენებით კოლმეურნეობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი ზრდა და განმტკიცება, განუხრელი შესრულება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებისა, რომლებიც გამსჭვალული არიან სტალინური მზრუნველობით კოლმეურნე გლეხობის ბედნიერი, საამური ცხოვრებისათვის.

ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის განმტკიცების საქმისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცხენების სულადობის გამოზრდას, რომელიც გამოსადეგი იქნება მეურნეობისათვის და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მიზნებისათვის. ამიტომ კოლმეურნეობათა ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შესრულება ყველა კოლმეურნეობისათვის დაწესებული სავალდებულო მინიმუმისა მაღალხარისხოვანი ცხენების მოშენებისა და გამოზრდის დარგში.

აქტივი აღნიშნავს მარცვლის დაფქვისათვის სამინდე გამოსაღების გაუქმების შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების უდიდეს მნიშვნელობას, როგორც ისეთი გადაწყვეტილებისა, რომელიც მიმართულია საკოლმეურნეო მარცვალფქვის განვითარებისაკენ.

დამამზადებელი აპარატების გაერთიანება, დამამზადებელთა, განსაკუთრებით დეცენტრალიზებულ დამამზადებელთა, შემდგომი შემცირება სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების ყველა სახის მიხედვით ადიდებს ადგილობრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობას სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა და შესყიდვათა საქმეში.

აქტივის კრება საქართველოს პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად სთვლის საგაზაფხულო თესვის მაღალი აგროტექნიკური დონით ჩატარებას, ტრაქტორების, ცოცხალი გამწევი ძალის სწორ გამოყენებას იმისათვის, რომ 1940 წელს მიაღწიონ ყველა კულტურის მაღალ სტალინურ მოსავალს.

ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ბოსტნეულ-კარტოფილისა და მეცხოველეობის საგარეუბნო ბაზის განმტკიცება.

აქტივი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტს ავალებს მოაწყოს საგარეუბნო რაიონების კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევა ბოსტნეულის მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში, რათა თბილისის გარშემო შეიქმნას მტკიცე ბაზა ქალაქის მშრომელთა სასოფლო - სამეურნეო პროდუქციით მომარაგებისათვის.

აქტივი ერთსულოვნად იწონებს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს მუშაობის გარდაქმნის შესახებ სამეურნეო სახალხო კომისარიატებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, სამეურნეო დარგებს შორის კავშირის განმტკიცების, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საქმის გაუმჯობესების და დაწესებული გეგმების შესრულების მიზნით.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივი საქართველოს ყველა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის უპირველეს მოვალეობად სთვლის შეუპოვარ, დაძაბულ ბრძოლას საქ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის პლენუმის იმ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ, სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის, მისი გმირი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის განმტკიცებისაკენ.

გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ სტალინურ საგარეო და საშინაო პოლიტიკას!

გაუმარჯოს სსრ კავშირის გმირ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს, ჩვენს მამას, მასწავლებელსა და მეგობარს, მშობლიურ და საყვარელ **სტალინს!**

საზღვარგარეთ

იაპონიის პრესა ჰელის განცხადების შესახებ

ტოკიო, 20 აპრილი (საკდესი). დომეი ცუსუნის სააგენტო იუწყება, რომ ჰოლანდიის ინდოეთში სტატუს-ქვოს შენარჩუნების საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰელის მიერ გაკეთებულ განცხადებას იაპონიის მრავალი გაზეთი განმარტავს, როგორც ცდას გავრცელებულ იქნას მონროეს ამერიკული დოქტრინა წყნარი ოკეანის დასავლეთის ნაწილზე.

გაზეთ „ასახის" აზრით, ამ განცხადებაში გამოსჭვივის ამერიკის შეერთებული შტატების მტრული პოზიცია იაპონიის მიმართ.

„ჯაპან ტაიმსი" სწერს, რომ ჰელი თავის განცხადებაში მონროეს დოქტრინას ეფარება. „არა სჩანს, — სწერს გაზეთი, — რომ ამერიკელებს სურდეთ ქვეყნიერების ამ ნაწილში საკითხთა მშვიდობიანად გადაჭრა. ჰელი თავის განცხადებაში, ეტყობა, ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაწერს იმ პროტექტორატის უფლებებს, რომლის დასაბუთებაც მას არაფრით არ შეუძლია".

გაზეთი „იომიური" აღნიშნავს, რომ ინგლისმა პირველმა გაავრცელა ცნობა უცხოელთა მიერ ჰოლანდიის ინდოეთის ოკუპაციის შესაძლებლობის შესახებ, რითაც ნიადაგი მოსინჯა.

„ხოჩი" სწერს, რომ ჰელი თავის განცხადებაში „აციტირებდა ამერიკას, იაპონიას და სხვა სახელმწიფოებს შორის დადებულ ძველ ხელშეკრულებებს. თუ ამერიკას საჭიროდ მიაჩნია, — აღნიშნავს გაზეთი, — დაიცვას ძველი შეთანხმებანი, როგორც მშვიდობიანობის მისაღწევი საშუალება, მაშინ ასე მტრულად და ცალმხრივად რატომღა გააუქმა მან იაპონია-ამერიკის 1911 წლის ხელშეკრულება, ასაბუთებდა რა ამ გაუქმებას შეცვლილი სიტუაციით".

საომარი მოქმედება ნორვეგიაში

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 20 აპრილი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

„გერმანიის ჯარის მიერ დაკავებულ ადგილებში ნარვიკის, ტრონჰეიმის, ბერგენის, სტავანჰერის და ქრისტიანზანდის იოგვლივ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ბერგენის რაიონში გერმანიის ჯარმა მთელი რიგი კუნძულები დაიკავა. ქრისტიანზანდის რაიონში ჰეგელანდის მახლობლად განაიარაღეს ნორვეგიის ჯარის ახალი ნაწილები. ტყვეების რიცხვი და ნადავლი განუწყვეტლივ მატულობს. 18 აპრილს გამოიანგარიშეს და აღმოჩნდა, რომ გერმანელთა სამხედრო ნადავლი შესდგება 180 ქვემეხისა და 300 ტყვიამფრქვევისაგან.

გერმანიის თვითმფრინავებმა ნორვეგიის დასავლეთ სანაპიროსთან იერიში მიიტანეს მტრის სამხედრო გემებსა და ტრანსპორტზე. ყუმბარები მოხვდა მტრის ერთ კრეისერსა და ორ ტრანსპორტს".

ბერლინი, 20 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო კომენტარს უკეთებს ცნობას იმის შესახებ, რომ ინგლისელები გადავიდნენ ნორვეგიის რამდენსამე პუნქტში და კონტაქტი დაამყარეს ნორვეგიის ხელისუფლებასთან და აცხადებს შემდეგს: „გერმანიის მხრით ამის თაობაზე აღნიშნავენ, რომ ჩრდილო ნორვეგიის რამდენსამე პუნქტში გადავიდა ინგლისის მცირე დესანტები, რომლებიც გერმანელთა მუდმივ კონტროლ ქვეშ იმყოფებიან. საეჭვოა, რომ ინგლისის ამ რაზმებსა და გერმანიის ჯარს შორის სერიოზული შეიარაღებული შეტაკება მოხდეს. ნორვეგიის სარდლობასთან ეგრედწოდებული „კონტაქტი" იმაში მდგომარეობს, რომ ნორვეგიის სარდლობა და მოსახლეობა კვლავ უწევენ გერმანელებს უაზრო წინააღმდეგობას. გერმანია საცაა დაამთავრებს ყოველგვარ საომარ მოქმედებას ნორვეგიაში. ის ძალები, რომელნიც ხელს შეუშლიან მშვიდობიანობის დამყარებას, განდევნილ-განადგურებული იქნებიან. ინგლისის ჯარი არავითარ რეალურ დახმარებას არ წარმოადგენს ნორვეგიის დაქსაქსული სამხედრო ნაწილებისათვის".

ბერლინი, 19 აპრილი (საკდესი). გერმანიის ავტორიტეტულ წრეებში ფიქრობენ, რომ 2-3 კვირაში საომარი ოპერაციები ნორვეგიაში დამთავრდება.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 20 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ დილით დაიწყო ბრძოლა ელვერუმის რაიონში, სადაც ნორვეგიის ჯარი ინარჩუნებს თავის პოზიციებს. გერმანიის ჯარი შედარებით მცირე რაზმებით მოქმედებს. გერმანელთა მდგომარეობა ნარვიკის რაიონში სერიოზულია. გერმანიის ჯარი, რომელიც თავმოყრილია რომბაქსეგში ნარვიკის მახლობლად, 5 კილომეტრზე შვეციის საზღვართან, ფაქტიურად მოწყვეტილია თავის ბაზებს.

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 19 აპრილი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა სტავანჰერს. დანგრეულია მრავალი სახლი, მრავალია აგრეთვე დაჭრილი.

ნიუ-იორკი, 19 აპრილი (საკდესი). ნორვეგიის დიპლომატიურმა მისიამ შვეციაში გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ტრონჰეიმის რაიონში ხდება გერმანიის ჯარის კონცენტრაცია. ნორვეგიის გარნიზონები ფოსუმსა და ჰეგრაში ჯერ კიდევ წინააღმდეგობას უწევენ გერმანიის ჯარს.

ნორვეგიის ჯარი შაშხანების დიდ ნაკლებობას განიცდის. ექვს კაცზე ერთი შაშხანა მოდის. გარდა ამისა, ნორვეგიის მრავალი იარაღი უვარგისი გამოდგა.

დარბაზობა საბჭოთა კავშირის ირანის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში

თეირანი, 19 აპრილი (საკდესი). დღეს თეირანის მთელმა პრესამ მოათავსა ცნობა, რომ გუშინ სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართა დარბაზობა სსრ კავშირსა და ირანს შორის ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის გამო.

საუზმეს დაესწრნენ: პრემიერი მატინ დაფტარი, მეჯლისის თავმჯდომარე ესფენდიარი, საგარეო საქმეთა მინისტრი აალამი, ფინანსთა მინისტრი ხოსროვი, სამხედრო მინისტრი ნახჯევანი, ვაჭრობის მინისტრი ფასიგი და სხვები.

საუზმის დროს სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ფილიმონოვმა და ირანის პრემიერმა დაფტარიმ ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით, სადაც ურთიერთკმაყოფილება გამოსთქვეს ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ ხელშეკრულების დადების გამო.

O

რომი, 19 აპრილი (საკდესი). სტეფანის სააგენტო თეირანიდან გადმოცემულ ცნობაში იუწყება, რომ თეირანის ყველა გაზეთი, ეხება რა ირანსა და სსრ კავშირს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების საკითხს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ხელშეკრულება ფართო შესაძლებლობას იძლევა ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარებისათვის და ფაქტიურად აბათილებს ტენდენციურ ცნობებს საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის შესახებ, რასაც უცხოეთის გაზეთები და სააგენტოები ავრცელებდნენ.

ინგლისი უარს ამბობს ინდოეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებაზე

ლონდონი, 19 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინდოეთისა და ბირმის საქმეთა მინისტრის მოადგილემ ო' ნეილ ჰიუმ თემთა პალატაში განაცხადა, რომ „ინგლისის მთავრობას, რასაკვირველია, არ შეუძლია დასთანხმდეს ინდოეთის ნაციონალური კონგრესის მოთხოვნაზე ინდოეთისათვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ჩვენ დიდად ვწუხვართ, რომ ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა უარი განაცხადა დომინიონის სტატუსის მიღებაზე". ინდოეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება, განაგრძო ო' ნეილ ჰიუმ, მოასწავებდა ინდოეთის სრულს ჩამოშორებას ბრიტანეთის იმპერიისაგან. ინდოეთში შექმნილი მდგომარეობა არ შეიძლება ოპტიმისტურად იქნას შეფასებული. თუ ინდოეთში სამოქალაქო ურჩობის კამპანია დაიწყო, მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას იხმარს, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს ამ მოძრაობას.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

(მოკლე ბიოგრაფია)

ვ. ი. ლენინი ამბობს სიტყვას წითელ მოედანზე მოსკოვში 1919 წ.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი დაიბადა 1870 წლის 22 (ძველი სტილით 10) აპრილს ქ. სიმბირსკში, აწინდელ ქ. ულიანოვსკში.

ლენინის მამა ილია ნიკოლოზის-ძე ულიანოვი იმ დროს სიმბირსკის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი იყო, ხოლო მანამდე მრავალი წლის განმავლობაში ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად იყო ნიჟნი-ნოვგოროდსა და პენზაში.

1879 წელს, როცა ლენინი 9 წლისა იყო, იგი შევიდა სიმბირსკის გიმნაზიაში, სადაც იმ დროს უკვე სწავლობდა მისი ძმა ალექსანდრე.

ალექსანდრე ულიანოვი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პეტერბურგს გაემგზავრა უნივერსიტეტში შესასვლელად. აქ იგი შევიდა ნაროდოვოლცების ორგანიზაციაში და მონაწილეობდა მეფე ალექსანდრე III-ის მოკვლის მომზადებაში. 1887 წ. 13 მარტს (1 მარტს ძველი სტილით) ალექსანდრე ულიანოვი თავის ამხანაგებთან ერთად დააპატიმრეს, ხოლო 1887 წ. 20 მაისს (8 მაისს ძველი სტილით) სიკვდილით დასაჯეს.

ძმის სიკვდილით დასჯის ამბავი რომ გაიგო, ლენინმა სთქვა: „არა, ჩვენ ამ გზით არ წავალთ, ჩვენ სხვა გზით წავალთ". ეს გზა ლენინმა ჰპოვა კარლ მარქსისა და მისი თანამებრძოლის ფრიდრიხ ენგელსის რევოლუციურ მოძღვრებაში. მარქსისა და ენგელსის თხზულებანი ლენინისათვის ნიადაგსახმარებელ წიგნებად იქცნენ. ლენინი მარქსისტი გახდა.

ლენინმა, რომელიც საუცხოოდ სწავლობდა, 1887 წელს დაამთავრა სიმბირსკის გიმნაზია ოქროს მედლით, რის შემდეგ იგი შევიდა ყაზანის უნივერსიტეტში.

17 წლის ჭაბუკმა ვლადიმერ ილიას-ძემ ყაზანის უნივერსიტეტში ყოფნის პირველ წელშივე მიიღო პირველი „საბრძოლო ნათლობაც": 1887 წ. 17 დეკემბერს იგი დააპატიმრეს სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, როგორც სტუდენტთა კრების ერთერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე, და გადაასახლეს სოფელ კოკუშკინოში, ყაზანიდან 40 ვერსის დაშორებით. აქ იგი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობდა. კოკუშკინოში ყოფნისას ლენინი ბევრს კითხულობდა და ავსებდა თავის განათლებას.

ლენინს მხოლოდ 1888 წლის შემოდგომაზე დართეს ნება დაბრუნებულიყო ყაზანს, სადაც გადასახლდნენ მისი მშობლები, მაგრამ უნივერსიტეტში დაბრუნების ნება მას არ მისცეს.

ყაზანში ლენინი აქტიურ მონაწილეობას იღებს ფედოსეევის მიერ შექმნილი მარქსისტული წრის მუშაობაში. სწორედ ამ დროს იწყებს ლენინი მარქსის „კაპიტალის" სერიოზულად შესწავლას.

1889 წლის დამლევს ლენინი ოჯახითურთ სამარას გადავიდა, სადაც მან მოაწყო მარქსისტული წრე. უკვე ამ წლებში ლენინი აცვიფრებდა ყველას მარქსიზმის ცოდნით. იგი სწავლობდა აგრეთვე რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიას და განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობდა გლეხთა საკითხს. გლეხთა საკითხის ცოდნა დაეხმარა ლენინს ნაროდნიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლენინმა გადასწყვიტა დაემთავრებინა უნივერსიტეტი და იწყო გამოცდებისათვის მზადება. 1891 წელს ლენინმა პეტერბურგის უნივერსიტეტთან ჩააბარა გამოცდა იურიდიული ფაკულტეტის დამთავრებაზე და მიიღო 1-ლი ხარისხის დიპლომი.

1893 წლის სექტემბერში ლენინი კვლავ ჩავიდა პეტერბურგს და სწრაფად გაეცნო ამხანაგებს, რომლებიც, როგორც მარქსისტები, რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ. ლენინის გარშემო თავს იყრიან რევოლუციური მუშაობის ყველაზე გაბედული და აქტიური მონაწილენი.

ლენინის პირველმავე გამოსვლებმა უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინეს პეტერბურგის მარქსისტული წრეების მონაწილეებზე. მუშათა კლასის გამარჯვების ღრმა, ურყევმა რწმენამ და თვალსაჩინო ორგანიზატორულმა ნიჭმა ლენინი პეტერბურგის მარქსისტების ცნობილ ხელმძღვანელად აქციეს.

პეტერბურგში ლენინის ჩასვლიდან იწყება მისი მუშაობა პირველი პარტიული ორგანიზაციის — პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" შესაქმნელად. პეტერბურგის „ბრძოლის კავშირი" ჩანასახი იყო მარქსისტული რევოლუციური პარტიისა, რომელიც მუშათა მოძრაობას ეყრდნობა. კავშირი მუშებს წვრთნიდა პოლიტიკურად, ეკონომიური მოთხოვნებისათვის ბრძოლას უკავშირებდა ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლას. პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა", რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა, წარმატებით იწყო მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების განხორციელება.

მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია რუსეთში შეიქმნა და გაიზარდა პირველ რიგში ნაროდნიკობასთან, როგორც მარქსიზმის უბოროტეს მტერთან ბრძოლაში.

1894 წელს პეტერბურგში ლენინმა დასწერა შესანიშნავი წიგნი „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?". ამ წიგნში ლენინმა ბოლომდე ამხილა ნაროდნიკები, ის „მატყუარა მეგობრები" ხალხისა, რომლებიც საქმით ხალხის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, ამხილა მათ შეხედულებათა მავნეობა და მცდარობა. ლენინმა ცხადჰყო, რომ ხალხის ნამდვილი მეგობრები, რომელთაც სურთ კაპიტალისტური და მემამულური ჩაგვრის მოსპობა, ცარიზმის მოსპობა, არიან არა ნაროდნიკები, არამედ მარქსისტები.

ლენინმა წიგნში „რანი არიან „ხალხის მეგობრები" განსაზღვრა მუშათა კლასის, როგორც საზოგადოების მოწინავე ძალის, როლი და პირველად წამოაყენა აზრი მუშებისა და გლეხების რევოლუციური კავშირის შექმნის შესახებ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. ეს კავშირი უნდა გამხდარიყო ცარიზმის, მემამულეთა და ბურჟუაზიის დამხობის მთავარი იარაღი. ლენინმა თავის წიგნში დასახა რუსეთის მარქსისტების ძირითადი ამოცანები და, უწინარეს ყოვლისა, ის ამოცანა, რომ დაქსაქსული წრეებისაგან მოწყობილიყო ერთიანი სოციალისტური მუშათა პარტია.

მარქსიზმი თანდათან ფართოდ ვრცელდებოდა რუსეთში. იგი თანდათან მოედო სტუდენტობას, ინტელიგენციის ნაწილს. მარქსიზმის მიტმასნება იწყეს თანამგზავრებმა, ეგრეთწოდებულმა „ლეგალურმა მარქსისტებმა".

ბურჟუაზიული ინტელიგენტები მარქსისტული ტანსაცმლით იმოსებოდნენ. ისინი თავიანთ სტატიებს აქვეყნებდნენ ლეგალურ, ე. ი. მეფის მთავრობის მიერ ნებადართულ ჟურნალგაზეთებში. ისინი ცდილობდნენ მუშათა მოძრაობა დაექვემდებარებინათ ბურჟუაზიის ინტერესებისათვის.

მარქსიზმის მოძღვრებას ისინი აცლიდნენ უაღრესად მთავარს — მოძღვრებას პროლეტარული რევოლუციის შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ფრიად ცნობილი „ლეგალური მარქსისტი" პეტრე სტრუვე ქებას ასხამდა ბურჟუაზიას და რევოლუციური ბრძოლის ნაცვლად მოუწოდებდა: „ჩვენი უკულტურობა აღვიაროთ და სასწავლად კაპიტალიზმთან მივიდეთო". პ. სტრუვეს წინააღმდეგ ლენინმა 1894 წელს დასწერა წიგნი „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში (მარქსიზმის ანარეკლი ბურჟუაზიულ ლიტერატურაში)". ლენინი ლეგალურ მარქსისტებს უწოდებდა პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამტარებლებს.

ლენინმა მოაწყო მუშების რამდენიმე რევოლუციური წრე და თვითონ მეცადინეობდა მუშებთან, იყო მათი მასწავლებელი. მაგრამ ამასთან ერთად თვითონ ლენინიც სწავლობდა მუშებისაგან: დაწვრილებით ტყობილობდა მათგან, თუ როგორ ცხოვრობენ ისინი, როგორ მუშაობენ, უფრო მეტად რა ავიწროვებთ მათ ფაბრიკებში, ქარხნებში, უფრო მეტად რა აღელვებთ მათ ამჟამად. ამ საუბრებისა და მუშათა საკითხის შესწავლის საფუძველზე ლენინი სწერდა ფურცლებს, რომლებიც განუმარტავდნენ მუშებს, თუ როგორ უნდა ებრძოლნათ მეპატრონეებთან.

1895 წლის აპრილის დამლევს ლენინი საზღვარგარეთ გაემგზავრა. შვეიცარიაში იგი გაეცნო „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის წევრებს — პლეხანოვს, აქსელროდსა და სხვებს. საზღვარგარეთვე გაეცნო მაშინდელი დროის სოციალისტური მოძრაობის ცნობილ მოღვაწეებს—პოლ ლაფარგს და ვილჰელმ ლიბკნეხტს, გერმანელი სოციალ-დემოკრატების ცნობილ ხელმძღვანელს.

საზღვარგარეთიდან დაბრუნებისას ლენინმა მოიარა მთელი რიგი ქალაქები — ვილნო, მოსკოვი, ორეხოვო-ზუევო და სხვები. იგი გაეცნო მუშა სოციალ-დემოკრატებს და შეუდგა მუშაობას, რათა ცალკეული ორგანიზაციები მუშათა ერთიან პარტიად გაეერთიანებინა. 1895 წლის დეკემბერში ლენინი დააპატიმრეს „ბრძოლის კავშირში" შემავალ სხვა ამხანაგებთან ერთად.

მაგრამ ლენინი საპყრობილეშიც არ სწყვეტდა მუშაობას მუშათა მოძრაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. იგი ადგენს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტს (პროექტი დაწერილი იყო რძით სამედიცინო წიგნის სტრიქონებს შუა), სწერს ბროშურას „გაფიცვების შესახებ" და ფურცლებს. ლენინისათვის საპყრობილეში მიჰქონდათ წიგნები, ჟურნალები, იგი იჯდა დილიდან ღამემდე და ამზადებდა დიდ წიგნს — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში". 1897 წლის თებერვალში ლენინი სამი წლით გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში, მინუსინსკის მაზრაში. იქ, სოფელ შუშენსკოეში, ლენინმა სამი წელიწადი გაატარა.

ამ დროს ამიერკავკასიის მუშებს შორის დაიწყო თავისი მოღვაწეობა ლენინის მომავალმა თანამებრძოლმა და პარტიის ბელადმა — ამხანაგმა სტალინმა, რომელიც ლენინზე თითქმის ათი წლით უფრო ახალგაზრდა იყო.

1898 წლის მაისში სოფელ შუშენსკოეს ჩავიდა თავისი დედითურთ ნადეჟდა კონსტანტინეს-ასული კრუპსკაია. იგიც დააპატიმრეს „ბრძოლის კავშირის" საქმეზე და ციმბირს გადაასახლეს.

ლენინი გადასახლებაში ყოფნისას კვლავ ჩაუჯდა წიგნს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", რომლის წერა მან საპყრობილეში დაიწყო. ლენინმა ამ წიგნით დაამთავრა ნაროდნიკობის იდეური განადგურება, წინასწარ განსჭვრიტა მუშათა კლასის ბრძოლისა და გამარჯვების გზა და დასახა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები. აქვე, ციმბირში, ლენინმა დაამთავრა მასობრივი წიგნიც — „ახალი საფაბრიკო კანონი". ეს წიგნაკი დაბეჭდილ იქნა საზღვარგარეთ „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის მიერ. აქვე ლენინმა დასწერა ცნობილი ბროშურაც „რუსეთის სოციალ-დემოკრატების ამოცანები", რომელმაც იმ ხანებში მტკიცე მიმართულება მისცა მარქსისტების მუშაობას რუსეთში. გადასახლებაში ყოფნის დროს ლენინმა დასწერა აგრეთვე ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი.

1899 წელს რუსეთში გამოვიდა „ეკონომისტების" ჯგუფის მიმართვა. ეს იყო სრული უარისთქმა მარქსიზმზე, უარისთქმა მუშათა კლასის დამოუკიდებელი რევოლუციური პარტიის შექმნაზე, უარისთქმა მუშათა კლასის დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოთხოვნებზე. მიიღო რა თავისი მეგობრების საშუალებით რუსი „ეკონომისტების" ოპორტუნისტული მიმართვა გადასახლებაში ყოფნის დროს, ლენინმა თავი მოუყარა გადასახლებულ მარქსისტებს და მათთან ერთად შეადგინა მკაცრი მამხილებელი პროტესტი, რომელიც ცნობილია „17 სოციალ-დემოკრატის პროტესტის" სახელწოდებით. პროტესტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსისტული აზროვნებისა და მარქსისტული პარტიის განვითარების საქმეში.

შემდეგ დაწერილ სტატიაში „უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში" ლენინმა აღნიშნა, რომ „ეკონომისტების" სახით მოგვევლინენ საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსი მიმდევრები, ე. ი. ბურჟუაზიის ხელშემწყობნი.

როცა ლენინი ჯერ კიდევ გადასახლებაში იყო, პრესაში ლეგალურად დაიბეჭდა მისი წიგნი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში". ლენინის ამ მეცნიერულმა ნაშრომმა დაამთავრა ნაროდნიკობის იდეური განადგურება.

1900 წლის 10 თებერვალს გათავდა ვლადიმერ ილიას-ძის გადასახლების ვადა, ხოლო 11 თებერვალს იგი უკვე გამოემგზავრა შუშენსკოედან. უფაში, მოსკოვში, პეტერბურგში ყოფნის შემდეგ ლენინი გაემგზავრა პსკოვს, სადაც იგი შეხვდა მარქსისტებს და მათთან ერთად განიხილა რევოლუციური გაზეთის „ისკრის" გამოცემის გეგმა, რაც მან ჯერ კიდევ გადასახლებაში ყოფნის დროს შეადგინა. ლენინი ამ დროს აწყობს თათბირს ათობით ამხანაგებთან და მოსამზადებელ საორგანიზაციო მუშაობას ეწევა. ლენინს მიაჩნდა, რომ მთელი რევოლუციური რუსეთისათვის მარქსისტული მუშათა გაზეთის შექმნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს — იგი ხელს შეუწყობს წრეებისა და ჯგუფების რევოლუციური მუშაობის გაერთიანებას. ასეთი გაზეთის გამოცემა უმჯობესი იყო საზღვარგარეთ, ხოლო იქიდან არალეგალურად შემოტანა და გავრცელება რუსეთში.

ამის შემდეგ ლენინი საზღვარგარეთ გაემგზავრა, რათა განეხორციელებინა თავისი იდეა საერთო-რუსული გაზეთის შექმნისა.

ლენინმა თავისი მუშაობა საზღვარგარეთ გაზეთ „ისკრის" ორგანიზაციით, ბეჭდვითა და გავრცელებით დაიწყო. ლენინური „ისკრიდან" მალე დიადი რევოლუციური ხანძარი გაჩაღდა.

ლენინის სახელი უმოკლეს დროში გადაიქცა ერთიანი პროლეტარული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის დროშად. „ისკრის" გამოსვლით დაიწყო დაქსაქსულ ჯგუფებისა და წრეებისაგან მუშათა ერთიანი პარტიის ნამდვილად შექმნის პერიოდი.

თავისი შეხედულებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას აგებული მუშათა კლასის მებრძოლი პარტია, რევოლუციური მარქსისტული პარტია, ლენინმა ჩამოაყალიბა შესანიშნავ წიგნში „რა ვაკეთოთ?".

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

თბილისის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრება

19 აპრილს, რუსთაველის სახელობის თეატრში გაიხსნა თბილისის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრება.

პრეზიდიუმის მაგიდასთან სხედან ამხანაგები: **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, მ. ჯაში, ს. იმხანოვი, ი. ტიულენევი,** ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი **ს. დენისოვი, ა. რაფავა, ფ. მახარაძე, გ. სტურუა, ი. კოჩლამაზაშვილი, ე. ჩერქეზია, ა. კვაჭაძე, გ. გოჩაშვილი, ვ. სიხარულიძე, ნ. გალუსტოვი, ნ. ჩარკვიანი, პ. მჭედლიძე, ვ. გარსევანიძე.**

აქტივის კრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ს. იმხანოვმა.**

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგთა შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ კ. პ. (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტების მდივანი ამხანაგი **კ. ჩარკვიანი,** რომელსაც აქტივი გულთბილად შეხვდა.

ამხანაგმა ჩარკვიანმა აქტივს გააცნო პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შინაარსი, დაწვრილებით შეჩერდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებებზე — სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა-დამზადებათა პოლიტიკაში ცვლილებათა შესახებ.

— ამ დადგენილებას,—ამბობს ამხანაგი ჩარკვიანი,—უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. იგი მძლავრი სტიმული იქნება საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა-დამზადებათა არსებული სისტემა აბრკოლებდა კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ ზრდასა და განმტკიცებას.

მომხსენებელი საქართველოს რაიონებისა და კოლმეურნეობების პრაქტიკიდან მოყვანილი ცოცხალი მაგალითებით ნათელყოფს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა-დამზადებათა წინათ არსებული წესი არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა მოწინავე კოლმეურნეობებს, ასუსტებდა საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და მთელი მეურნეობის განვითარებით მათს დაინტერესებას და შეღავათიან პირობებს ჰქმნიდა ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისათვის.

შემდეგ ამხანაგი ჩარკვიანი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა დიდი უპირატესობა აქვს კოლმეურნეობებზე მიმაგრებული თვითეული ჰექტარი სახნავიდან მარცვლეულის, ბრინჯის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ზეთოვანი კულტურებისა და ბალახების თესლის სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარების გამოანგარიშების ახალ სისტემას.

„კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ" პარტიისა და მთავრობის დადგენილების შემდეგ საქართველოში საკოლმეურნეო ფერმების რაოდენობა 190 პროცენტით გაიზარდა.

ამხანაგი ჩარკვიანი შეჩერდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანებზე, კერძოდ აღნიშნა, რომ ზოგიერთ რაიონებში ჯერ კიდევ არასაკმაო ყურადღება ეთმობა მეცხვარეობის ფერმების მოწყობას და რომ დღემდე არცერთ კოლმეურნეობაში არ არის მეფრინველეობის ფერმები. ამავე დროს ჩვენს კოლმეურნეობებს ყველა პირობა აქვთ მეფრინველეობის ფართოდ განვითარებისათვის.

როგორც საზოგადოებრივი მეფრინველეობის განვითარებისადმი უგულებელყოფითი დამოკიდებულების ერთი ერთი დამახასიათებელი ფაქტი, ამხანაგმა ჩარკვიანმა აღნიშნა ის, რომ სამტრედიის რაიონში რამდენიმე წლის განმავლობაში არ გამოუყენებიათ ორი მძლავრი ინკუბატორი.

შემდეგ ამხანაგი ჩარკვიანი ლაპარაკობს მეცხენეობის განვითარებაზე და წითელი არმიისათვის ცხენების მომზადებაზე. მოწინავე კოლმეურნეობები, რომლებიც ზრუნავდნენ ცხენებზე, არახელსაყრელ პირობებში იმყოფებოდნენ იმ კოლმეურნეობებთან შედარებით, რომლებიც არ ზრდიდნენ ცხენებს. ასე მაგალითად, მიუხედავათ იმისა, რომ საქართველომ გასულ წელს შეასრულა სახელმწიფოსათვის ცხენების ჩაბარების გეგმა, სამხრეთოსეთის და ახალციხის რაიონს არცერთი ცხენი არ ჩაუბარებიათ.

თავისი მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი ამხანაგმა ჩარკვიანმა დაუთმო თბილისისა და საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრების მშრომელთა მომარაგებისათვის კართოფილისა და ბოსტნეულის სათესი ფართობების გადიდების საკითხებს. ეს ამოცანა დღემდე გადაუჭრელია. აფხაზეთში, აჭარაში, მახარაძის, ჭიათურის რაიონებში კართოფილი და ბოსტნეული დღემდე დიდი რაოდენობით შეაქვთ სხვა რაიონებიდან. პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს არაფერი გაუკეთებიათ თავისი კართოფილისა და ბოსტნეულის ბაზის შექმნისათვის.

— უდიდესი მნიშვნელობა აქვს, — განაგრძობს ამხანაგი ჩარკვიანი,—დამამზადებელი აპარატების გაერთიანებას, ზედმეტი დამამზადებელი ორგანოების, განსაკუთრებით დეცენტრალიზებული ორგანოების შემდგომ შემცირებას.

ამხანაგმა ჩარკვიანმა აქტივის ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს საგაზაფხულო თესვის თავის დროზე ჩატარებას საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის ისტორიული დადგენილების წარმატებით განხორციელებისათვის.

— საქართველოს ბოლშევიკების ამოცანაა,—ამთავრებს თავისი მოხსენების ამ ნაწილს ამხანაგი ჩარკვიანი, — თვითეულ კოლმეურნემდე და ყველა მშრომელამდე დაიყვანონ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილების უდიდესი მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა-დამზადებათა პოლიტიკაში ცვლილებათა შესახებ.

შემდეგ ამხანაგი ჩარკვიანი შეჩერდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებაზე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

შემდეგ ამხანაგი ჩარკვიანი გადადის მთავრობის საგარეო პოლიტიკისა და ფინეთის ომის შედეგთა საკითხზე. ყველა ეს საკითხი, აღნიშნავს მომხსენებელი, სრული გარკვეულობით იყო გაშუქებული ამხანაგ **ვ. მ. მოლოტოვის** მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე.

გმირულმა წითელმა არმიამ და სამხედრო საზღვაო ფლოტმა ერთხელ კიდევ გვიჩვენეს თავისი უძლეველი ძალა, ისინი ახალი დიდების შარავანდედით შეიმოსნენ. ჩვენმა წითელმა არმიამ გააქარწყლა თეორია მანერჰეიმის ხაზის თავდაცვითი სიმაგრეების გადალახვის შეუძლებლობის შესახებ, უზრუნველჰყო **ლენინის** ქალაქის უშიშროება, ლიკვიდაცია უყო ომის ყველაზე უფრო საშიშარ კერას საბჭოთა კავშირის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე.

— თეთრფინელებზე გამარჯვება და საზავო ხელშეკრულების დადება, — ამბობს ამხანაგი ჩარკვიანი,—წარმოადგენს ტრიუმფს არა მარტო წითელი არმიისათვის, არამედ საბჭოთა კავშირის მთელი საგარეო პოლიტიკისათვის **(ტაში).**

ფინეთის ამბების გაკვეთილებმა ნათლად გვიჩვენეს, რომ წითელი არმიის სიმტკიცე ურყევია, რომ იგი ბოლშევიკური პარტიისა და დიდი **სტალინის** უსაზღვროდ ერთგულია. **(მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

— საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, — ამბობს დასასრულ ამხანაგი ჩარკვიანი, — განუხრელად განახორციელებენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, გამოიყენებენ იმ უდიდეს პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც დააგროვეს დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფის **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** მიერ ლენინურ-სტალინური ტრადიციებისადმი ურყევი ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილმა საქართველოს ბოლშევიკებმა.

საქართველოს ბოლშევიკები ყველაფერს გააკეთებენ პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ხალხთა დიდი ბელადის მშობლიური **სტალინის** პირადი მითითებების განხორციელებისათვის **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

O

ამხანაგ ჩარკვიანის მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

პირველი გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. **გ. გოჩაშვილი.** მან ილაპარაკა იმაზე, რომ საქართველოს მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ამხ. გოჩაშვილი ჩერდება წითელი არმიის საგმირო საქმეებზე ფინეთში, ლაპარაკობს სტალინური საგარეო პოლიტიკის შესანიშნავ გამარჯვებებზე.

ამხ. **ვ. ჯიბლაძე** — ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე — თავის სიტყვაში ლაპარაკობს ხილისა და ბოსტნეულის დამზადებაში წინათ არსებულ ნაკლოვანებებზე. მთელ რიგ რაიონებში ხილისა და ბოსტნეულის დამზადებას აწარმოებს კონსერვტრესტი. ამ ორგანიზაციას არ ძალუძს დაამზადოს პროდუქციის მთელი გამოსავლიანობა. ამიტომ ხილისა და ბოსტნეულის ნაწილი ჩაწვებოდა ხოლმე და ფუჭდებოდა. ცეკავშირისათვის დამზადებათა გადაცემა შესაძლებლობას მოგვცემს დროზე დავამზადოთ ეს პროდუქტები, კონსერვტრესტმა კი მარტო მათ გადამუშავებაზე უნდა იმუშაოს.

საერთოდ, — ამბობს ამხ. ჯიბლაძე, —ხილის, ბოსტნეულის, ხორცის, ფრინველისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებას ბევრი ორგანიზაცია ეწევა. ეს მხოლოდ არევდარევას ჰქმნის და აძვირებს პროდუქციას.

— სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების ჰექტარობრივ გამოანგარიშებას,—ამბობს ამხ. ზ. კეცხოველი (მოადგილე სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოში),—დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის სტიმულირებისათვის. ის კოლმეურნეობები, რომლებიც ჩამორჩებიან საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში, მაშინვე მოჰკიდებენ ხელს მეცხოველეობის ფერმების მოწყობას. მაგრამ ფერმების მოწყობა არ კმარა, საჭიროა ვიზრუნოთ იმაზე, რომ კარგად მოვუაროთ პირუტყვს, ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მოვაწყოთ მისი წესიერი კვება.

შემდეგ ამხ. კეცხოველი აქტივის ყურადღებას მიაპყრობს დამამზადებელთა კადრების მომზადების საკითხებს და მთელი დამამზადებელი სისტემის რეორგანიზაციის დიდ მნიშვნელობას.

თბილისის გარშემო კარტოფილბოსტნეულის მძლავრი ბაზების შექმნასა და საკოლმეურნეო ფერმებში ჯიშიანი პირუტყვის შემდგომ გაუმჯობესებაზე ლაპარაკობს თავის სიტყვაში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ი. კოჩლამაზაშვილი.**—საჭიროა, — ლაპარაკობს იგი,—საგარეუბნო რაიონების საკოლმეურნეო ფერმები უზრუნველვყოთ წმინდა ჯიშის მწარმოებლებით და დედა-პირუტყვის სულადობით და ამით მივაღწიოთ დიდ წველადობას.

თბილისის გარშემო მდებარე ცხრა რაიონის არცერთ კოლმეურნეობაში არ არის მეფრინველეობის ფერმები. საჭიროა დავეხმაროთ კოლმეურნეობებს ამ ფერმების მოწყობის საქმეში. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა უნდა იზრუნოს ინკუბატორების დამზადებაზე და ინკუბატორებით ჩვენი კოლმეურნეობების მომარაგებაზე.

მიმდინარე წელს ხილ-ბოსტნეული კულტურებით დაკავებული ფართობი საგარეუბნო კოლმეურნეობებში გასულ წელთან შედარებით 75 პროცენტით დიდდება. ეს ნიშნავს, რომ თბილისის მშრომელები მიმდინარე წელს მიიღებენ გაცილებით უფრო მეტ ხილსა და ბოსტნეულს, ვიდრე შარშან.

ამხ. **ვ. კობახიძემ** — საქართველოს სსრ. მიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველოს უფროსმა—ილაპარაკა მეცხოველეობის ფერმების მოწყობასა და დაკომპლექტებაზე. საქართველოს მეცხოველეობის ფერმების მხოლოდ 24 პროცენტს ჰყავს საჭირო პირუტყვის მინიმუმი. მეცხოველეობის ფერმების მოწყობაში განსაკუთრებით ჩამორჩებიან კასპის, გურჯაანის, თიანეთის რაიონები, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონები.

შემდეგ ამხ. კობახიძე აქტივის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ არასაკმაო ყურადღება ექცევა პირუტყვის ბაგაზე და საძოვარზე გასუქების საკითხებს საქართველოს ზოგიერთ კოლმეურნეობებში.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქიროვის რაიკომის მდივანი ამხ. **ნ. გალუსტოვი** ჩერდება პარტიული ორგანიზაციების იმ ამოცანებზე მასობრივ-პოლიტიკური და თავდაცვითი მუშაობის შემდგომი გაშლის საქმეში, რომლებიც გამომდინარეობენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან.

— თვითეულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ,—ამბობს ამხ. გალუსტოვი,—ისე უნდა გაშალოს მასობრივ-თავდაცვითი მუშაობა, რომ თვითეული საწარმო და თვითეული კოლმეურნეობა თავდაცვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ გადააქციოს.

აქტივმა დიდი ინტერესით მოისმინა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის ამხ. **ი. ტიულენევის** სიტყვა. ამხ. ტიულენევი თავის სიტყვაში შეჩერდა მთელ რიგ საკითხებზე, რომლებსაც აქტუალური მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობისათვის და სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

O

20 აპრილს საღამოს გრძელდებოდა კამათი ამხ. **კ. ჩარკვიანის** მოხსენების გამო.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. **ნ. გიორგაძემ** აქტივის ყურადღება გაამახვილა ხორცისა და რძის პროდუქტების დამზადების საკითხებზე.

იმისათვის, რომ უკეთ მოეწყოს მიმდინარე წლის დამზადებანი, შექმნილია პირუტყვის მისაღები 26 ახალი პუნქტი. ეს მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს პირუტყვის მიყვანას კოლმეურნეობებიდან ჩასაბარებელ პუნქტებამდე.

— თბილისში ხილისა და ბოსტნეულის შემოტანა, — ამბობს თბილხილბოსტნეულვაჭრობის დირექტორი ამხ. **რ. ანახასიანი,** — წლითიწლობით მატულობს. გასულ წელს თბილისში შემოტანილ იქნა ხილი და ბოსტნეული 56 პროც. უფრო მეტი, ვიდრე 1938 წელს. კიდევ უფრო მეტად გადიდდა შემოტანა მიმდინარე წელს. ამხ. ანახასიანმა აღნიშნა, რომ ცალკეული დამამზადებელი ორგანიზაციები გატაცებული არიან რაოდენობით და ივიწყებენ დასამზადებელი პროდუქციის ხარისხს.

საზოგადოებრივი კვების ტრესტის დირექტორი ამხ. **პ. კილასონია** ლაპარაკობს საზოგადოებრივი კვების სისტემის უზრუნველყოფაზე თავისი სასურსათო ბაზით.

იმაზე, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა და შესყიდვათა პოლიტიკაში ცვლილებების შესახებ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების საქმეში. და სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა ამოცანებზე თავის სიტყვაში ილაპარაკა სარეწაო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **ვ. შავგულიძემ.**

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ამხ. **ვ. გარსევანიძემ** უამბო აქტივს იმ მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის შესახებ, რომელიც რაიონში ტარდება.

საქართველოს მიწსახკომის ხილბოსტნეულის სამმართველოს უფროსი ამხ. **მ. ბუჯიაშვილი** და „სოიუზზაგოტშერსტის" საქართველოს კანტორის მმართველი ამხ. **ვ. კვერნაძე** შეჩერდნენ პრაქტიკულ ღონისძიებებზე პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის.

სავაჭრო ქსელის გარდაქმნისა და თბილისის და საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრების მშრომელთა კარტოფილით, ბოსტნეულით, ხილით და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით შეუფერხებელი მომარაგების შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. **ს. დონაძემ.**

სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. **ა. ჭოლოკავა** შეეხო დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნას.

შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხანაგი **კ. ჩარკვიანი.**

პარტიული აქტივის კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მთლიანად და სავსებით იწონებს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობის წარმომადგენლის ინტერვიუ იტალიელ კორესპონდენტთან

ბერლინი, 19 აპრილი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობის წარმომადგენელმა იტალიურ გაზეთ „ტრიბუნისათვის" მიცემულ ინტერვიუში გააშუქა ის მიზნები, რომლებსაც გერმანია ნორვეგიაში ისახავს. კორესპონდენტის შეკითხვაზე გერმანიის ღონისძიებათა სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ გერმანიის სარდლობის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გერმანელთა მოქმედებას მიზანია, უწინარეს ყოვლისა, ხელი შეუშალოს მოკავშირეებს განახორციელონ თავიანთი გეგმები ნორვეგიის მიმართ, ე. ი. ფლანგიდან, სკანდინავიიდან, გერმანიაზე თავდასხმის და ეკონომიური ბლოკადის გაძლიერების გეგმები. და მხოლოდ მეორე რიგში დგას საკითხი გერმანიის ფლოტისა და ავიაციის მიერ ნორვეგიის ბაზების გამოყენებისა. ჩრდილოეთით მოკავშირეთა მოქმედება, რომელიც განისაზღვრება, ერთი მხრივ, პრესტიჟის შენარჩუნების მისწრაფებით, ხოლო მეორე მხრივ, ნაკარნახევია სურვილით—შექმნან ნორვეგიაში საომარი დასაყრდენი პუნქტები, გვიჩვენებს, რომ გერმანიამ თავისი ღონისძიებებით დაასწრო მოკავშირეებს.

გერმანელთა ოპერაციების შესახებ გერმანიის სამხედრო-საზღვაო სარდლობის წარმომადგენელმა შემდეგი სთქვა: „მეტეოროლოგიურმა პირობებმა ძალიან გააძნელეს გერმანიის ფლოტისა და ავიაციის მიერ მათი სტრატეგიული გეგმის განხორციელება, მაგრამ ამ პირობებმა ინგლისელთა მოქმედებაც გაართულეს. თუმცაღა, ცუდმა ხილვადობამ ხელი შეუწყო გერმანიის შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც იმ პუნქტებში მოქმედებდნენ, სადაც ინგლისის ფლოტი აწარმოებდა ოპერაციებს. იგივე შეიძლება ითქვას ავიაციის შესახებაც, რომელმაც სწრაფად დასძლია სიძნელენი და რომელსაც ამჟამად შეუძლია კონტროლი გაუწიოს ნორვეგიის ტერიტორიას. დაკავებული დასაყრდენი პუნქტების გამაგრებამ, სანაპიროს გასწვრივ წყალქვეშა ნავების განაწილებამ და ნაღმიანი ღობურების მოწყობამ ხელი შეუწყეს ზღვიდან მოკავშირეთა იერიშების წარმატებით მოგერიებას".

შემდეგ გერმანიის სამხედრო-საზღვაო სარდლობის წარმომადგენელმა ილაპარაკა ეგრეთწოდებულ სკაგერაკის ბრძოლის შესახებ, რომელიც ინგლისელთა და ფრანგთა ტენდენციური ცნობების საბაბი შეიქმნა. „ეგრეთწოდებული ბრძოლა სკაგერაკში,—სთქვა მან, — შეთხზულია დასავლეთი სახელმწიფოების მიერ საპროპაგანდო მიზნით. როგორც ეტყობა, მოკავშირეებს განზრახული აქვთ ამ მოჭორილი ბრძოლით ახსნან ინგლისის წყალქვეშა ნავების დანაკლისი სკაგერაკში. ინგლისის სახაზო გემ „რინაუნთან" გერმანიის მძიმე სამხედრო გემების ერთადერთი შეტაკება, რომელიც 9 აპრილს მოხდა ლოფოტენის კუნძულების რაიონში, ინგლისის სახაზო გემის ძლიერი დაზიანებით დამთავრდა, მაშინ როდესაც გერმანიის სამხედრო გემები არ დაზიანებულან".

დასასრულ, სარდლობის წარმომადგენელმა კორესპონდენტს განუცხადა: „პოლიტიკური მხრივ მოკავშირეებს ზიანი მოუვიდათ. სამხედრო მხრივ გერმანიის ღონისძიებანი მოასწავებენ გერმანიის ოპერატიული ბაზების მიახლოებას დიდ ბრიტანეთთან. ინგლისის ბაზებმა შოტლანდიაში, აგრეთვე სკაპაფლოუში (ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სადგომი ორკნეის კუნძულებზე) თავიანთი ღირებულება დაჰკარგეს".

კონტაქტი იტალიისა და გერმანიის შეიარაღებულ ძალთა შორის

რომი, 19 აპრილი (საკდესი). იტალიური პრესა მსხვილი სათაურით ათავსებს ცნობას იტალიისა და გერმანიის გადაწყვეტილების შესახებ — ერთმანეთთან მიავლინონ მუდმივი სამხედრო კომისიები სხვადასხვა სახის ჯარის ექსპერტების შემადგენლობით. გერმანელთა კომისიის ნაწილი უკვე რომში იმყოფება. კომისიის ამოცანაა ორივე ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა შორის მუდმივი კონტაქტის დამყარება.

პირველი შეტაკება ინგლისისა და გერმანიის ჯარებს შორის ნორვეგიაში

ლონდონი, 19 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ნორვეგიაში, ნამსოსის მახლობლად პირველი შეტაკება მოხდა ინგლისისა და გერმანიის ჯარებს შორის. გერმანიის ჯარის იერიში მოგერიებულ იქნა. გერმანიის ჯარი შესდგებოდა ტრონჰეიმის მახლობლად მდებარე ვერნესის აეროდრომიდან თვითმფრინავებით გადმოყვანილი რაზმისაგან.

მდგომარეობა ისლანდიაში

ლონდონი, 19 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ისლანდიის მოსახლეობა მხარს უჭერს ისლანდიის პარლამენტის გადაწყვეტილებას ხელში აიღოს უმაღლესი ხელისუფლება ყველა იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომლებიც წინათ დანიის მეფისა და დანიის მთავრობის გამგებლობაში იყო. ისლანდიის მთავრობა უკვე დაუკავშირდა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. ვაჭრობის საკითხი ჯერ კიდევ ნათელი არ არის. დღემდე ისლანდიის საგარეო ვაჭრობის დაახლოებით ნახევარი იმ ქვეყნების წილად მოდიოდა, რომლებიც ახლა მიუწვდომელი გახდნენ.

როგორც ფიქრობენ, უშუალო ვაჭრობა ამერიკასთან, რაც განვითარდა ომის დასაწყისში, გადიდდება.

რუზველტის განცხადება

ვაშინგტონი, 19 აპრილი (საკდესი). უპასუხა რა პრესის წარმომადგენლების შეკითხვებს ჰოლანდიის ინდოეთის შესახებ ჰელის მიერ გაკეთებული განცხადების გამო, რუზველტმა სთქვა: ჰელმა საკმაო სისრულით გააშუქა ეს საკითხი. რუზველტმა იმედი გამოსთქვა, რომ სტატუს-ქვო შენარჩუნებული იქნება მთელი წყნარი ოკეანის რაიონში.

ჰელის განცხადება

ნიუ-იორკი, 18 აპრილი (საკდესი). ასოშეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა განცხადება გააკეთა ჰოლანდიის ინდოეთის საკითხზე.

„ჰოლანდიის ინდოეთში სტატუს-ქვოს ყოველი ცვლილება,—სთქვა ჰელმა,—უშუალო გავლენას მოახდენდა მრავალი ქვეყნის ინტერესებზე. ჰოლანდიის ინდოეთს დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობისათვის მთელს წყნარ ოკეანეში. იგი იძლევა ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი საქონლის მსოფლიო წარმოების მნიშვნელოვან ნაწილს, როგორიც არის კაუჩუკი, კალა, ქინაქინა, კოპრი და სხვ. მრავალი ქვეყანა, და მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები, ზევრად არის დამოკიდებული მასზე, ამ საქონლით მომარაგების მხრივ. ჰოლანდიის ინდოეთის შინაურ საქმეებში ჩარევა ან მათი სტატუს-ქვოს რაიმე შეცვლა, თუ არ სამშვიდობო მეთოდებით, ზიანს მიაყენებდა სტაბილობას, მშვიდობიანობასა და უშიშროებას არა მარტო ჰოლანდიის ინდოეთის რაიონში, არამედ მთელი წყნარი ოკეანის რაიონში".

ასოშეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა ეს განცხადება გამოაქვეყნა არიტას განცხადების გამო პრესის წარმომადგენლების მიერ შეტანილი სათანადო შეკითხვების შემდეგ.

ჩემბერლენის გამოსვლა

ლონდონი, 19 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ თემთა პალატაში ჩემბერლენმა მოხსენება გააკეთა ინგლისის მიერ სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენელთა კონფერენციის შესახებ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა ლონდონში. ლონდონში ცხრა დღის ყოფნის განმავლობაში მათ, საგარეო საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით, განიხილეს აქტუალური პრობლემები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის შესახებ. ჩემბერლენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს კონფერენცია მოწმობს დიდ ინტერესს, რომელსაც ინგლისის მთავრობა იჩენს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისადმი, და აღნიშნა: კონფერენციის მიზანი იყო—კიდევ უფრო გაეძლიერებინა ინგლისის მთავრობის პოლიტიკა ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთშიო.

იაპონია და ჰოლანდიის ინდოეთი

ტოკიო. გუშინ გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ჰოლანდიის ინდოეთის პრობლემას ევროპის ომთან დაკავშირებით. ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ, თუ ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები შეეცდებიან ხელთ იგდონ ჰოლანდიის ინდოეთი, იაპონია ამას ვერ მოითმენს, გადამწყვეტ ზომებს მიიღებს და შეიარაღებულ ჩარევასაც კი არ დაერიდება.

პრესა სამ თეზისს აყენებს: 1. იაპონიას დიდი ეკონომიური ინტერესები აქვს ჰოლანდიის ინდოეთში. 2. იაპონია არ დაუშვებს რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის ბატონობას ჰოლანდიის ინდოეთში. 3. იაპონია მზად არის იარაღით შეებრძოლოს ინგლისსა და ამერიკას ამ კოლონიის ფლობის უფლებისათვის.

გუშინ პრეს-კონფერენციაზე იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა უარი სთქვა კომენტარი გაეკეთებინა ჰოლანდიის ინდოეთის შესახებ პრესაში აღძრული საკითხისათვის. მან სთქვა, არ შემიძლია ვილაპარაკო ასეთი დიდად მნიშვნელოვანი საკითხის გამო და შევპირდა კონფერენციას — საგარეო საქმეთა მინისტრ არიტას შევხვდები და რამდენიმე დღის შემდეგ გავაკეთებ განცხადებასო.

O

წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში [illegible] დოეთისათვის. იაპონია ცდილობს გამოიყენოს შესაფერი მომენტი, რათა გააძლიეროს თავისი პოზიციები ჰოლანდიის ინდოეთში.

ჰოლანდიის ინდოეთის შემადგენლობაში შედიან კუნძულები — იავა, სუმატრა, ცელებესი, ბორნეო და მთელი რიგი სხვანი. მთავარი რამ, რაც იაპონიის იმპერიალიზმს აქეთ იზიდავს, არის ნავთი. ჰოლანდიის ინდოეთში 1938 წელს 7.400 ათასი ტონა ნავთი ამოიღეს. მაშინ მას ნავთის ამოღების მხრივ მსოფლიოში მეხუთე ადგილი ეჭირა. გარდა ამისა, ჰოლანდიის ინდოეთში მოიპოვება კაუჩუკი, კალა და სხვა სახის ნედლეული. 1938 წელს ამოღებულ იქნა 302,4 ათასი ტონა კაუჩუკი (მსოფლიოში მეორე ადგილი მოპოვების მხრივ), 21,6 ათასი ტონა კალა (მსოფლიოში მესამე ადგილი), 1.380 ათასი ტონა ქვანახშირი.

ჰოლანდიის ინდოეთს მესამე ადგილი უკავია იაპონიის საგარეო ვაჭრობაში. იაპონიის კონცერნს მიცუის და „ნიპონის" კომპანიას ბორნეოს კუნძულზე ნავთის მოსაპოვებელი კონცესიები აქვთ. ჰოლანდიის ინდოეთში იაპონიის კაპიტალს საკუთარი კაუჩუკის პლანტაციები (379 ათასი აკრი) აქვს; იგი ამუშავებს ტყის მასივებს, აძლიერებს თავის პოზიციებს ბოქსიტების მოპოვების დარგში, რასაც [illegible]

16 აპრილი (საკდესი).

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. რაიკომის პლენუმები

22 აპრილს, საღამოს 7 საათზე, [illegible] რაიკომის შენობაში ([illegible] ქუჩა № 132) მოწვეულია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახ. რაიკომის მე-2 მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგშია:

1. სტახანოველებთან მუშაობა და [illegible] მოძრაობა (სატრიკოტაჟო კომბინატისა და 26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექტორთა მოხსენებები).

რაიკომის მდივანი გრ. ჩახუნაშვილი.

O

22 აპრილს, საღამოს 8 საათზე, „კომუნისტის" კომბინატის კლუბის დარბაზში (ლენინის ქუჩა № 28) მოწვეულია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მე-2 მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგშია:

1. ამხანაგ სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის ბიუროს მდივნის ამხ. ფოფხაძის მოხსენება პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ.
2. საორგანიზაციო საკითხები.

რაიკომის პლენუმის ყველა წევრის და წევრობის კანდიდატის, რაიკომის სარევიზიო კომისიის წევრების, აგრეთვე ბიუროსა და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების დასწრება სავალდებულოა.

რაიკომის მდივანი პ. მჭედლიძე.

წინასამაისო საკოლმეურნეო ბაზრობის პირველი დღე

20 აპრილს თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე დაიწყო საპირველმაისო ვაჭრობა. ბაზრები მორთულია ლოზუნგებით, პლაკატებით და ყვავილებით. თბილისის რაიონის კოლმეურნეებმა საპირველმაისო ვაჭრობის პირველ დღეს დიდძალი სანოვაგე მიაწოდეს თბილისის მომხმარებლებს.

სტალინის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარზე ზოგმა კოლმეურნეობამ შესამჩნევად გააიაფა ხორცი, ბოსტნეული და რძის ნაწარმი. თბილისის რაიონის სოფ. დიღომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ბაზარზე გამოიტანა 400 კილოგრამი პირველხარისხოვანი ხორცი, მწვანილი, რძე, ყველი და სხვ.

ფასდაკლებით ვაჭრობდნენ სოფ. დიღომის ლენინის სახელობის, ყარაიას რაიონის სოფ. ყარატაგლიას ტელმანის სახელობის კოლმეურნეები და სხვ.

სავაჭროდ ჩამოსული კოლმეურნეებისათვის მოეწყო შემხვედრი ვაჭრობა ფართალით, ფეხსაცმელებითა და სხვა სამრეწველო საქონლით. კოლმეურნეთა კულტმომსახურებისათვის გამოყოფილია კულტმუშაკები, რომელნიც მოაწყობენ კოლმეურნეთა ორგანიზებულ სვლას თეატრებში, კინოებში, მუზეუმებში და სხვ.

O

მოლოტოვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარზე ორგანიზებულად ჩამოვიდნენ ბაშკიჩეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის, ყარაიის რაიონის სტალინის სახელობის, ავჭალის ბერიას სახელობისა და სხვა კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და ერთპიროვნული მეურნეები. ბაზარზე მათ ჩამოიტანეს ახალი ბოსტნეული, ხორცი, რძის პროდუქტები, კარტოფილი, ფქვილი და სხვ.

პროდუქტების ფასები წინადღესთან შედარებით 20 აპრილს საგრძნობლად დაიწია. თიანეთის რაიონის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა კილოგრამ კარტოფილს 1 მან. 50 კაპ. ჰყიდდა. საერთოდ წინადღესთან შედარებით ბაზარზე ხორცის ფასი 20 პროცენტით დაიწია, კარტოფილის — 25 პროცენტით, ბოსტნეულისა — 35-40 პროცენტით.

სპეკულაციასთან ბრძოლის მიზნით ბაზარზე მოწყობილია მილიციის საგუშაგო, კოლმეურნეებს ეხმარებიან რაისაბჭოს დეპუტატები და ფაბრიკა-ქარხნების მუშები.

O

26 კომისრის სახელობის რაიონის (შაუმიანის მოედანი) **საკოლმეურნეო ბაზარში** (დირექტორი მ. კაზაროვი) დილიდანვე იწყო დენა კოლმეურნეთა სურსათ-სანოვაგით დატვირთულმა ურმებმა.

დღეს წინასამაისო საკოლმეურნეო ბაზრობაზე პირველად ჩამოვიდნენ და დიდძალი ხორცეული და ბოსტნეული ჩამოიტანეს ზემოავჭალის ლ. ბერიას და თბილისის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებმა.

გასულ დღეებთან შედარებით ხორცზე, კვერცხზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე შესამჩნევად დაიკლო ფასმა.

საკოლმეურნეო ბაზრობის პირველ დღეს საექიმო პუნქტში 30-დე კოლმეურნემ მოისმინა ექიმის ლექცია სიცოცხლის, ქონებისა და ცოცხალი საქონლის დაზღვევაზე. ლექციამ კოლმეურნეებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჩამოსული კოლმეურნეები უზრუნველყოფილი არიან ბინებით.

რაიონული საბჭოს დეპუტატები საბაზრო კომიტეტის მუშაკებს აქტიურ დახმარებას უწევენ კოლმეურნეთა ვაჭრობის უკეთ ორგანიზაციის საქმეში. შემოღებულია საბაზრო კომიტეტის მუშაკთა სადღეღამისო მორიგეობა.

ექიმთა საზოგადოებაში

21 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, ტუბდისპანსერის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) შესდგება საქართველოს ექიმთა პლენარული სხდომა, რომელზედაც მოხსენებებით გამოვლენ პროფ. ნანეიშვილი და პროფ. წულუკიძე. ამასთან სხდომაზე გამოვლენ თეთრფინელებთან ბრძოლებში მონაწილე ექიმები, რომლებიც დამსწრეთ გაუზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — „გრაფის ქვრივი" (პრემიერა), **მარჯანიშვილის სახელობის** — „მზის დაბნელება საქართველოში", **მუსკომედია** — „ესპანელი მღვდელი". **მოზარდ მაყ. თეატრი** — „კომბლე" [illegible].

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. სეზონი
21 [illegible] პრემიერა
[illegible] კლდიაშვილი
გრაფის ქვრივი
[illegible]
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

იყიდება როიალი კაბინ. კარგი ფირმის
[illegible] № 9 [illegible]
ნახვა 3 საათიდან.
6008

[illegible] 6057
[illegible] 6065
[illegible] 6056
[illegible] 6052
[illegible] 6066
[illegible] 6069
[illegible] 6042
[illegible] 6067
[illegible] 6061
[illegible] 6064

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, [illegible]—3—06—88, განყოფილებები: [illegible] პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—63, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, [illegible]—3—73—24, პ.-მშ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. [illegible] სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ბ—1402